# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №168/1

თბილისი „04..." „..12....." 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჰერმესი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვალერიან სხიერელის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის დამკრძალავი ბიუროს მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – სხვადასხვა მომსახურებები – 98300000; დეტალური CPV კოდი 98371200 - დამკრძალავი ბიუროს მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 185,00 (ასოთხმოცდახუთი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 კატაფალკით მომსახურება, ღირებულებით 105,00 (ასხუთი) ლარი.

3.2 დაკრძალვის მომსახურება, ღირებულებით 80,00 (ოთხმოცი) ლარი.

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 185,00 (ასოთხმოცდახუთი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2 მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (მიმწოდებელი თუ არ არის დ.ღ.გ.–ს გადამხდელი, წარმოადგინოს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ის არ არის დ.ღ.გ.–ს გადამხდელი) დადგენილი წესის მიხედვით, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, მე-3 სართული.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებისა და 15.1. პუნქტში აღნიშნული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებში და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.1.3 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**
ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
14.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის უფროსი თეა სიმონია.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან' ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო” | შპს „ჰერმესი” |
| ქ. თბილისი წერეთლის გამზ. #144 | ქ. თბილისი, ქვალონის #1 |
| ს/ს „საქართველოს ბანკი“ | ს/ს „ლიბერთი ბანკი” |
| კოდი #BAGAGE22 | კოდი № LBRTGE22 |
| ა/ა # GE65BG0000000878284200 | ა/ა № GE13LB0113121340998000 |
| ს/კ # 202465153 | ს/კ № 202888349 |
| ანა ჩაჩხუნაშვილი | ვალერიან სხიერელი |
| დირექტორი | გენერალური დირექტორი |